„ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“ გაერო-ს 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციის [*რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 2 აპრილის №172 დადგენილებით*]

V ოქმი

„ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ“

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები,

აღიარებენ რა ომის ფეთქებადი ნარჩენებით გამოწვეულ კონფლიქტისშემდეგ სერიოზულ ჰუმანიტარულ პრობლემებს,

აცნობიერებენ რა ოქმის დადების აუცილებლობას კონფლიქტისშემდეგ ზოგადი ხასიათის აღდგენით ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელიც მიმართული იქნება ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან გამომდინარე რისკებისა და შედეგების შემცირებისაკენ,

და სურთ რა დაეყრდნონ ტექნიკურ დანართში მოცემულ ზოგად პრევენციულ ზომებს, როგორც საუკეთესო ნებაყოფლობით პრაქტიკას საბრძოლო მასალების საიმედოობის გაუმჯობესებისათვის, და ამით შეამცირონ ომის ფეთქებადი ნარჩენების წარმოშობის რისკი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები და გამოყენების სფერო

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და მეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით გამოყენებადი საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად, კონფლიქტისშემდეგ სიტუაციებში ომის ფეთქებადი ნარჩენებიდან გამომდინარე რისკებისა და შედეგების შემცირების მიზნით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან დაიცვან ამ ოქმით განსაზღვრული ვალდებულებები როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებთან თანამშრომლობით.

2. ეს ოქმი ვრცელდება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების სახმელეთო ტერიტორიაზე, მიდა წყლების ჩათვლით, ომის არსებული ფეთქებადი ნარჩენების მიმართ.

3. ეს ოქმი ვრცელდება აგრეთვე იმ ვითარებების მიმართ, რომლებიც გამოწვეულია კონვენციის, როგორც მასში შეტანილ იქნა ცვლილება 2001 წლის 21 დეკემბერს, პირველი მუხლის პირველი-მე-6 პუნქტებით განსაზღვრული კონფლიქტების შედეგად.

4. ამ ოქმის მე-3, მე-4, მე-5 და მე-8 მუხლები გამოიყენება ომის ფეთქებადი ნარჩენების მიმართ, გარდა ომის არსებული ფეთქებადი ნარჩენებისა, როგორც ეს განსაზღვრულია ამ ოქმის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით.

მუხლი 2. განსაზღვრებები

ამ ოქმის მიზნისთვის:

1. ***ფეთქებადი საბრძოლო მასალა*** ნიშნავს ჩვეულებრივ. ფეთქებადი ნივთიერებების შემცველ საბრძოლო მასალას, გარდა ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა მოწყობილობებისა, რომლებიც განსაზღვრულია ამ კონვენციის 1996 წლის 3 მაისს შესწორებული მე-2 ოქმით.

2. ***აუფეთქებელი საბრძოლო მასალა*** ნიშნავს ფეთქებად საბრძოლო მასალას, რომელიც დაიგენა, გააჩნდა ამფეთქებელი, მოყვანილ იქნა საბრძოლო მდგომარეობაში ან სხვაგვარად მომზადდა და გამოყენებულ იქნა შეიარაღებულ კონფლიქტში. ის შეიძლება ყოფილიყო გასროლილი, ჩამოგდებული, გაშვებული ან გაგყორცნილი და უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ არ აფეთქდა.

3. ***მიტოვებული ფეთქებადი საბრძოლო მასალა*** ნიშნავს ფეთქებად საბრძოლო მასალას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას არ გამოყენებულა, შეიარაღებული კონფლიქტის მხარის მიერ მიტოვებულ ან დაგდებულ იქნა და ამ მხარის კონტროლის ქვეშ აღარაა. მიტოვებული ფეთქებადი საბრძოლო მასალა შეიძლება ყოფილიყო დაგენილი, ჰქონოდა ამფეთქებელი, მოყვანილი ყოფილო საბრძოლო მდგომარეობაში ან გამოსაყენებლად სხვაგვარად ყოფილიყო მომზადებული, ან – არა.

4. ***ომის ფეთქებადი ნარჩენები*** ნიშნავს აუფეთქებელ საბრძოლო მასალას ან მიტოვებულ ფეთქებად საბრძოლო მასალას.

5. ***ომის არსებული ფეთქებადი ნარჩენები*** ნიშნავს აუფეთქებელ საბრძოლო მასალასა და მიტოვებულ ფეთქებად საბრძოლო მასალას, რომლებიც მაღალი ხელშემკერელი მხარისათვის ამ ოქმის ძალაში შესვლამდე არსებობდა და მის ტერიტორიაზე ახლაც არსებობს.

მუხლი 3. ომის ფეთქებადი ნარჩენების ბანალმა, ბატანა ან ბანადგურება

1. ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე და შეიარაღებული კონფლიქტის მხარე კისრულობს ამ მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებებს მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ომის ყველა ფეთქებად ნარჩენთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ომის ფეთქებად ნარჩენებად გადაქცეული ფეთქებადი საბრძოლო მასალების მომხმარებელი არ აკონტროლებს ტერიტორიას, მაშინ საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, სადაც შესაძლებელია, ომის ამ ფეთქებადი ნარჩენების მონიშვნისა და განაღმვის, გაგანისა ან განადგურების ხელშეწყობის მიზნით, იგი უზრუნველყოფს, მათ მორის, ტექნიკურ, ფინანსურ, მატერიალურ ან ადამიანური რესურსებით დახმარებას ორმხრივად ან ორმხრივად შეთანხმებული მესამე მხარის, მათ მორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემისა ან სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მეშვეობით.

2. აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში ყოველმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ და შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ მის მიერ კონტროლირებად დაზიანებულ ტერიტორიებზე არსებული ომის ფეთქებადი ნარჩენები უნდა მონიშნოს და განაღმოს, გაიგანოს ან გაანადგუროს. ომის ფეთქებადი ნარჩენებით დაზიანებულ არეალებს, რომლებიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სერიოზული ჰუმანიტარული რისკის მატარებლად უასდება, ენიჭება უპირატესი სტატუსი განაღმვის, გაგანისა ან განადგურების ღონისძიებების ჩატარებისას.

3. აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში ყოველმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ და შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ მის მიერ კონტროლირებად დაზიანებულ ტერიტორიებზე ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან გამოწვეული რისკების შესამცირებლად შემდეგი ღონისძიებები უნდა განახორციელოს:

(ა) ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან გამოწვეული საფრთხეების გამოკვლევა და შეფასება;

(ბ) მონიშვნისა და განაღმვის, გატანისა ან განადგურების საჭიროებისა და პრაქტიკულობის შეფასება და პრიორიტეტულობის დადგენა;

(გ) ომის ფეთქებადი ნარჩენების მონიშვნა და განაღმვა, გატანა ან განადგურება;

(დ) ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების მობილიზაციისათვის ნაბიჯების გადადგმა.

4. აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა და შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, ნაღმების მოქმედების საერთაშორისო სტანდარტები.

5. მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა, სადაც შესაძლებელია, უნდა ითანამშრომლონ როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან, შესაბამის რეგიონულ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ტექნიკური, ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების დახმარების გაწევასთან, მათ შორის, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, ამ მუხლის დებულებების შესრულებისათვის აუცილებელი ერთობლივი ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. ინფორმაციის ჩაწერა, შენახვა და გადაცემა

1. მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა და შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა, შესაძლო მაქსიმალურ ფარგლებში და პრაქტიკულობის მიხედვით, უნდა ჩაწერონ და შეინახონ ინფორმაცია ფეთქებადი საბრძოლო მასალისა ან მიგოვებული ფეთქებადი საბრძოლო მასალის გამოყენების შესახებ, რათა ხელი შეუწყონ ომის ფეთქებადი საბრძოლო მასალის სწრაფ მონიშვნასა და განაღმვას, გატანასა ან განადგურებას, ტერიტორიის მაკონტროლებელი მხარისა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის რისკის განმარტებასა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

2. მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა და შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა, რომლებმაც გამოიყენეს ან მიგოვეს ის ფეთქებადი საბრძოლო მასალები, რომლებიც შეიძლება ომის ფეთქებად ნარჩენებად იქცნენ, აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტისთანავე და პრაქტიკულობის მიხედვით, ამ მხარეთა უსაფრთხოების კანონიერი ინტერესების შესაბამისად, მსგავსი სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდონ დაზიანებული არეალის მაკონტროლებელ მხარესა ან მხარეებს, ორმხრივად ან ორმხრივად შეთანხმებული მესამე მხარის, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა ან, თხოვნის-საფუძველზე, შესაბამისი ორგანიზაციების მეშვეობით, რომელთა მიმართ ინფორმაციის მიმწოდებელი მხარე დარწმუნებულია, რომ ისინი ახორციელებენ ან განახორციელებენ რისკის განმარტებასა და დაზიანებულ არეალში არსებული ფეთქებადი ნარჩენების მონიშვნასა და განაღმვას, გატანასა ან განადგურებას.

3. ამ ინფორმაციის ჩაწერისას, შენახვისა და გადაცემისას მაღალი ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ტექნიკური დანართის პირველ ნაწილი.

მუხლი 5. ომის ფეთქებადი ნარჩენებიდან გამოგადინარე რისკებისა და მედგებისაგან მოსახლეობის, სამოქალაქო პირებისა და ობიექტების დაცვისათვის განკუთვნილი სხვა გამაფრთხილებელი ზომები

1. მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა და შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა, ომის ფეთქებადი ნარჩენებით დაბიანებულ, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან გამომდინარე რისკებისა და შედეგებისაგან მოსახლეობის, სამოქალაქო პირებისა და ობიექტების დაცვის მიზნით, უნდა მიიღონ ყველა სათანადო გამაფრთხილებელი ზომა. სათანადო გამაფრთხილებელი ზომებია, რომლებიც პრაქტიკული ან პრაქტიკულად შესაძლებელია, ამ დროისათვის არსებული ყველა გარემოების, მათ შორის, ჰუმანიტარული და სამხედრო მოსაზრებების გათვალისწინებით. ეს ზომები შეიძლება შეიცავდეს გაფრთხილებებს, მოსახლეობისათვის რისკის განმარტებას, ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან დაბიანებული ტერიტორიების მონიშვნას, შემოღობვასა და მონიტორინგს, როგორც ეს მოცემულია ტექნიკური დანართის მე-2 ნაწილში.

მუხლი 6. ჰუმანიტარული მისიებისა და ორგანიზაციების ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან დაცვის დებულებები

1. ყოველმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ და შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ:

   (ა) რამდენადაც შესაძლებელია, ომის ფეთქებადი ნარჩენების შედეგებისგან უნდა დაიცვას ის ჰუმანიტარული მისიები და ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ ან იმოქმედებენ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ან შეიარაღებული კონფლიქტის მხარის კონტროლირებად არეალში, ამ მხარეთა თანხმობით.

   (ბ) ამ ჰუმანიტარული მისიისა ან ორგანიზაციის თხოვნის საფუძველზე, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის ცნობილი ომის ყველა ფეთქებადი ნარჩენის ადგილმდებარეობის შესახებ იმ ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს ან იმოქმედებს მთხოვნელი ჰუმანიტარული მისია ან ორგანიზაცია.

2. ამ მუხლის დებულებები არ ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს ან სხვა შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებს ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ დაცვის უფრო მაღალ დონეს.

მუხლი 7. დახმარების გაწევა არსებულ ომის ფეთქებად ნარჩენებთან დაკავშირებით

1. ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, სადაც შესაბამისია, უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს დახმარება სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისაგან, არაწევრი სახელმწიფოებისაგან, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისაგან ომის არსებული ფეთქებადი ნარჩენებით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად.

2. ყოველმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ, რამდენადაც შეუძლია, უნდა გაწიოს დახმარება ომის არსებული ფეთქებადი ნარჩენებით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში, საჭიროებისა და შესრულებადობის მიხედვით. ამასთან, ამ მემთხვევაში მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ამ ოქმის ჰუმანიტარული მიზნები და საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, ნაღმების მოქმედების საერთაშორისო სტანდარტები.

მუხლი 8. თანამშრომლობა და დახმარება

1. ყოველმა მაღალმა ხელშემკვრელი მხარემ, მეძლების მიხედვით, ომის ფეთქებადი ნარჩენების მონიშვნისა და განაღმვის, გატანისა ან განადგურების, მოსახლეობისათვის რისკის

განმარტებისა და მსგავსი საქმიანობის განხორციელების მიზნით, უნდა გაწიოს დახმარება, მათ მორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის, სხვა შესაბამის საერთამორისო რეგიონული ან ეროვნული ორგანიზაციების ან ინსტიტუტების, წითელი ჯვრის საერთამორისო კომიტეტის, წითელი ჯერისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებებისა და მათი საერთამორისო ფედერაციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან ორმხრივი საფუძვლის მეშვეობით.

2. ყოველი მაღალი ხელმემკვრელი მხარე, შეძლებისდა მიხედვით, გაწევს დახმარებას ომის ფეთქებადი ნარჩენების მსხვერპლთა მოვლა-რეაბილიტაციისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციისათვის. მსგავსი სახის დახმარების გაწევა შეიძლება იქნეს შეთავაზებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში, სხვა შესაბამისი საერთამორისო, რეგიონული ან სახელმწიფო ორგანიზაციებისა ან ინსტიტუტების, წითელი ჯვრის საერთამორისო კომიტეტის, წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის ეროვნული ორგანიზაციებისა და მათი საერთამორისო ფედერაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან ორმხრივი საფუძვლის მეშვეობით.

3. ყოველი მაღალი ხელმემკვრელი მხარე, შეძლებისდა მიხედვით, ამ ოქმით გათვალისწინებული დახმარების გაწევის ხელშეწყობის მიზნით, შენაგანებს შეიტანს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნდობის ფონდებში, ისე სხვა შესაბამის ნდობის ფონდებში.

4. ყოველ მაღალ ხელმემკვრელ მხარეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს აღჭურვილობის, ნივთებისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის რაც შეიძლება სრული მოცულობით გაცვლაში, რაც არ უკავშირდება შეიარაღების ტექნოლოგიას და აუცილებელია ამ ოქმის განსახორციელებლად. მაღალი ხელმემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ მსგავსი სახის გაცვლებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და არ დაადგინონ შეუსაბამო შეზღუდვები განაღმვისათვის საჭირო აღჭურვილობისა და ჰუმანიტარული მიზნებთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ინფორმაციის მიწოდებაზე.

5. ყოველი მაღალი ხელმემკვრელი მხარე ვალდებულებას იღებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში განაღმვასთან დაკავშირებით შექმნილ შესაბამის მონაცემთა ბაზისათვის უზრუნველყოს ინფორმაციის, განსაკუთრებით კი ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ეხება ომის ფეთქებადი ნარჩენების განაღმვის ტექნოლოგიებსა და სხვადასხვა საშუალებებს, ექსპერტების სიას, საექსპორტო დაწესებულებებსა ან ომის ფეთქებადი ნარჩენების განაღმვასთან დაკავშირებით მოქმედ ეროვნულ საკონტაქტო პუნქტებს და ნებაყოფლობით წარადგენს ტექნიკურ ინფორმაციას ფეთქებადი საბრძოლო მასალების შესაბამისი სახეობების შესახებ.

6. მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, შესაბამისი დამასაბუთებელი ინფორმაციის თანდართვით, დახმარებისათვის შეუძლიათ მიმართონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სხვა შესაბამის ორგანიზაციებსა ან სახელმწიფოებს. ეს მოთხოვნები შეიძლება წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც, თავის მხრივ, გადაუგზავნის ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, შესაბამის საერთამორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

7. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მოთხოვნის შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, მის ხელთარსებული საშუალებების ფარგლებში, შეუძლია გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეაფასოს მდგომარეობა და, მომთხოვნ მაღალ ხელშემკვრელ მხარესა და ამ ოქმის მე-3 მუხლი განსაზღვრული პასუხისმგებელობის მქონე სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებთან ერთად, მიცეს შესაბამისი დახმარების გაწევის თაობაზე რეკომენდაციები. გენერალური მდივანს შეუძლია შეატყობინოს მაღალ ხელმემკვრელ მხარეებს

ნებისმიერი ასეთი შეფასების შესახებ, ასევე მოთხოვნილი დახმარების სახესა და მოცულობაზე, გაეროს ფარგლებში დაფუძნებული მიზნობრივი ფონდებიდან გადარიცხვების ჩათვლით.

მუხლი 9. ზოგადი პრევენციული ზომები

1. განსხვავებული სიტუაციებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს ომის ფეთქებადი ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ეძლევა რეკომენდაცია გააგაროს ზოგადი პრევენციული ზომები, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ტექნიკური დანართის მე-3 ნაწილში მითითებული ზომები.

2. ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, ნებაყოფლობითობის საფუძველზე, შეუძლია გაცვალოს ინფორმაცია ამ მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობისა და განსაზღვრის ძალისხმევებთან დაკავშირებით.

მუხლი 10. მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა კონსულტაციები

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ამ ოქმის მოქმედების ყველა საკითხთან დაკავშირებით გამართონ კონსულტაციები და ითანამშრომლონ ერთმანეთთან ამ მიზნით, უმრავლესობის, მაგრამ არანაკლებ 18 მაღალი ხელშემკვერელი მხარის თანხმობით უნდა ჩაგარდეს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების კონფერენცია.

2. მაღალი ხელშემკერელი მხარეების კონფერენციის მუშაობა მოიცავს:

(ა) ამ ოქმის მდგომარეობისა და მოქმედების მიმოხილვას;

(ბ) იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება ამ ოქმის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციას, ეროვნული ანგარიშგებისა ან ყოველწლიური განახლების ჩათვლით;

(გ) მიმოხილვითი კონფერენციების მომზადებას.

3. მაღალი ხელშემკვრელი მხარეების კონფერენციის ხარჯები დაიფარება მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისა და კონფერენციაში მონაწილე არაწევრი სახელმწიფოების მიერ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სათანადოდ მოწესრიგებული შეფასების სკალის მიხედვით.

მუხლი 11. შესაბამისობა

1. ყოველმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა მოითხოვოს, რომ მისმა შეიარაღებულმა ძალებმა და შესაბამისმა უწყებებმა თუ დეპარტამენტებმა გამოცენ შესაბამისი ინსტრუქციები და სამოქმედო პროცედურები და რომ მისმა პირადმა შემადგენლობამ მიიღოს ამ ოქმის შესაბამისი დებულებების შესაგყვისი მომზადება.

2. ნებისმიერი პრობლემის მოგვარების მიზნით, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ოქმის დებულებების განმარტებისას ან გამოყენებისას, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას. გამართონ ორმხრივი მოლაპარაკებები და თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა ან სხვა შესაბამისი საერთაშორისო პროცედურების მეშვეობით.

ტექნიკური დანართი

ეს ტექნიკური დანართი მოიცავს შემოთავაზებულ საუკეთესო პრაქტიკას ამ ოქმის მე-4, მე-5 და მე-9 მუხლებში მითითებული მიზნების მისაღწევად. ეს ტექნიკური დანართი მაღალი ხელმშემკვრელი მხარეების მიერ შესრულდება ნებაყოფლობით საფუძველზე.

I. აუფეთქებელი საბრძოლო მასალების (ასმ) და მიტოვებული ფეთქებადი საბრძოლო მასალების (მშსმ) შესახებ არსებული ინფორმაციის დარეგისტრირება, შენახვა და გავრცელება

ა) ინფორმაციის დარეგისტრირება: იმ ფეთქებად საბრძოლო მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლებელია გადაიქცნენ აუფეთქებელ საბრძოლო მასალად, სახელმწიფომ უნდა სცადოს, რომ შეძლებისდაგვარად ზუსტად დაარეგისტრიროს შემდეგი ინფორმაცია:

i) იმ არეალის ადგილმდებარეობა, რომლებიც ფეთქებადი საბრძოლო მასალების გამოყენების სამიზნე იყო;

ii) იმ ფეთქებადი საბრძოლო მასალების დაახლოებითი რაოდენობა, რომლებიც გამოყენებულ იქნა (i) ქვეპუნქტში მითითებულ არეალებზე;

iii) იმ ფეთქებადი საბრძოლო მასალების სახე და დამახასიათებელი ხასიათი, რომლებიც გამოყენებულ იქნა (i) ქვეპუნქტში მითითებულ არეალებზე;

iv) ცნობილი და სავარაუდო ასმ-ის ზოგადი ადგილმდებარეობა;

როდესაც სახელმწიფო იძულებული იყო დაეტოვებინა ფეთქებადი საბრძოლო მასალები ოპერაციის მიმდინარეობის, იგი უნდა ეცადოს დატოვოს ეს მშსმ უსაფრთხოდ და დაცულად და, ამასთან, დაარეგისტრიროს შემდეგი ინფორმაცია ამ საბრძოლო მასალების თაობაზე:

v) მშსმ-ის ადგილმდებარეობა;

vi) მშსმ-ის დაახლოებითი რაოდენობა თითოეულ განსაზღვრულ ადგილას;

vii) მშსმ-ის სახეობა თითოეულ განსაზღვრულ ადგილას.

ბ) ინფორმაციის შენახვა: სახელმწიფოს მიერ „ა" პუნქტის შესაბამისად დარეგისტრირებული ინფორმაცია უნდა ინახებოდეს იმ სახით, რაც საშუალებას იძლევა ამ ინფორმაციის მოძებნისა და შემდგომი გავრცელებისათვის „გ" პუნქტის შესაბამისად.

გ) ინფორმაციის გავრცელება: „ა" და „ბ" პუნქტების შესაბამისად სახელმწიფოს მიერ დარეგისტრირებული და შენახული ინფორმაცია, ინფორმაციის მომწოდებელი სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებისა და სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, გავრცელდება შემდეგი დებულებების შესაბამისად:

(i) შინაარსი:

ასმ-თან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

(1) ცნობილი და საეარაუდო ასმ-ის საერთო ადგილმდებარეობა;

(2) სამიზნე არეალებზე გამოყენებული ფეთქებადი საბრძოლო მასალების სახეები და დაახლოებითი რაოდენობა;

(3) ფეთქებადი საბრძოლო მასალების იდენტიფიცირების მეთოდი, მათ შორის: ფერი, ზომა, ფორმა და სხვა შესაბამისი აღნიშვნები;

(4) ფეთქებადი საბრძოლო მასალების უსაფრთხოდ გაუვნებულყოფის მეთოდი.

მუსმ-თან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

5) მუსმ-ის ადგილმდებარეობა;

6) მუსმ-ის დაახლოებითი რაოდენობა თითოეულ განსაზღვრულ ადგილას;

7) მუსმ-ის სახეები თითოეულ განსაზღვრულ ადგილას;

8) მუსმ-ის იდენტიფიცირების მეთოდი, მათ შორის: ფერი, ზომა და ფორმა;

9) ინფორმაცია მუსმ-ის სათანადოდ შენახვის სახისა და მეთოდების შესახებ;

10) მზადყოფნის მდგომარეობა;

11) ნებისმიერი იმ მახენაღმის ხასიათი და ადგილმდებარეობა, რომლის მუსმ-ის არეალში არსებობაც ცნობილია.

ii) მიმღები: ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაზიანებული ტერიტორიის მაკონტროლებელ მხარესა ან მხარეებს და იმ პირებს ან დაწესებულებებს, რომელთა მიმართ ინფორმაციის გამავრცელებელი სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ ისინი ჩართული არიან ან ჩაერთვებიან დაზიანებული არეალის ასმ-ისა ან მუსმ-ისგან განაღმვაში, მათგან გამომდინარე რისკების თაობაზე მოსახლეობისათვის განმარტება.

iii) მექანიზმი: სახელმწიფომ, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების საერთამორისოდ ან ადგილობრივად, მაგალითად, UNMAS-ის, IMSMA-ისა და ინფორმაციის გამავრცელებელი სახელმწიფოს მიერ შესაბამისად მიჩნეული სხვა საექსპერტო სააგენტოების მემეობით დადგენილი ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები.

iv) ეადა: ინფორმაცია შეძლებისდაგვარად მალე უნდა გავრცელდეს, ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორიც არის დაზიანებულ არეალებზე ნებისმიერი მიმდინარე სამხედრო და ჰუმანიტარული ოპერაცია, ასევე ინფორმაციის მნიშვნელობა და საიმედოობა და უსაფრთხოების შესაბამისი საკითხები.

2. მეტყობინება, რისკის შესწავლა, მონიშვნა, შემოღობვა და მონიტორინგი

<u>მთავარი პირობები</u>

ა) მეტყობინება არის სამოქალაქო მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის დროული მიწოდება, დაზიანებულ ტერიტორიებზე ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გამომდინარე რისკების შემცირების მიზნით.

ბ) სამოქალაქო მოსახლეობისათვის რისკის განმარტება უნდა მოიცავდეს რისკის განმარტებით პროგრამებს, რათა ხელი შეეწყოს ინფორმაციის გაცვლას დაზარალებულ საზოგადოებებს, სამთავრობო დაწესებულებებსა და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს შორის ისე, რომ დაზარალებულ საზოგადოებებს მიეწოდოს

ინფორმაცია ომის ფეთქებადი ნარჩენების საფრთხეების თაობაზე. ამგვარი პროგრამები, ჩვეულებისამებრ, გრძელვადიანი საქმიანობაა.

<u>შეტყობინებისა და რისკის განმარტების საუკეთესო პრაქტიკის დეტალები</u>

გ) შეტყობინებისა და რისკის განმარტების ყველა პროგრამამი შესაძლებისდაგვარად უნდა გათვალისწინდეს ყველაზე უფრო გავრცელებული ეროვნული და საერთამორისო სტანდარტები, მათ შორის, ნაღმების მოქმედების საერთამორისო სტანდარტები.

დ) შეტყობინება და რისკის განმარტება უნდა განხორციელდეს მთელი დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, რომელიც მოიცავს იმ მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ომის ფეთქებადი ნარჩენების არსებობის არეალებში ან მათ ირგვლივ და რომლებიც ტრანზიტით გადიან ამ არეალებს.

ე) შეტყობინება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად მალე, ვითარებისა და ინფორმაციის მოპოვებადობის მიხედვით. რისკის განმარტების პროგრამამ შეტყობინების პროგრამა შეძლებისდაგვარად მალე უნდა შეცვალოს. დაზარალებეული მოსახლეობისათვის შეტყობინება და რისკის განმარტება ყოველთვის შეძლებისდაგვარად უადრეს დროს უნდა მოხდეს.

ვ) კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა, როდესაც მათ არ გააჩნიათ რისკის სათანადოდ განმარტების მიწოდების სათანადო რესურსები და ცოდნა, უნდა მიმართონ მესამე მხარეს, როგორებიცაა საერთამორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ზ) თუ შესაძლებელია, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა შესატყობინებლად და რისკის განსამარტებლად უნდა უზრუნველყონ დამატებითი საშუალებების გამოძებნა. ეს შეიძლება მოიცავდეს ლოგისტიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფას, რისკის განმარტებასთან დაკავშირებით მასალების გამოცემას, ფინანსურ მხარდაჭერასა და საერთო კარტოგრაფიულ მონაცემებს.

<u>ომის ფეთქებადი ნარჩენებით დაზიანებული არეალის მონიშვნა, შემოღობვა და მონიტორინგი</u>

თ) როცა ეს შესაძლებლია, კონფლიქტის მიმდინარეობისას და მის შემდგომ, სადაც ომის ფეთქებადი ნარჩენები არსებობს, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა, რაც შეიძლება სწრაფად და მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა უზრუნველყონ ომის ფეთქებადი ნარჩენებით დაზიანებული არეალების მონიშვნა, შემოღობვა და მონიტორინგი, რათა არ მოხდეს იქ სამოქალაქო პირთა შესვლა, შემდეგი დებულებების გათვალისწინებით.

ი) საეჭვო საშიში არეალების მონიშვნისას გამოყენებულ უნდა იქნეს დაზარალებული საზოგადოების მიერ ამოცდობად მონიშვნის მეთოდებზე დამყარებული გამაფრთხილებელი ნიშნები. ნიშნები და საშიში არეალის საზღვრების მონიშვნები, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა იყოს დანახვადი, მკაფიო, საიმედო და მყარი გარემო ეფექტებთან მიმართებით და ნათლად უნდა აჩვენებდენენ, მონიშნული პერიმეტრის რომელი მხარეა ომის ფეთქებადი ნარჩენებით დაზიანებულ არეალში და რომელია უსაფრთხო.

კ) უნდა შეიქმნას რისკის განმარტების ეროვნულ და ადგილობრივ პროგრამებში ინტეგრირებული, მონიმვნის მუდმივი და დროებითი სისტემების მონიტორინგისა და განხორციელების პასუხისმგებელი სტრუქტურა.

3. ზოგადი პრევენციული ზომები

ფეთქებადი საბრძოლო მასალების მწარმოებელმა ან შემსყიდველმა სახელმწიფოებმა, შესაძლებლობის ფარგლებში და შესაბამისობის მიხედვით, უნდა სცადონ, რომ შემდეგი ზომები ხორციელდებოდეს და იცვლებოდეს ფეთქებადი საბრძოლო მასალების სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

<u>ა) საბრძოლო მასალების წარმოების მართვა</u>

(i) წარმოების პროცესები საბრძოლო მასალების საიმედოობის მაქსიმალური დონის მიღწევისაკენ უნდა იყოს მიმართული.

(ii) წარმოების პროცესები ხარისხის კონტროლის სერტიფიცირებული ზომების გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს.

(iii) ფეთქებადი საბრძოლო მასალების წარმოებისას ხარისხის დამოწმების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები უნდა გამოიყენებოდეს.

(iv) მიღებული ტესტირება უნდა ჩატარდეს კომპლექსურ პირობებში წარმოებული საცეცხლე შემოწმებისა ან სხვა არსებული პროცედურების მეშვეობით.

(v) ფეთქებად საბრძოლო მასალებთან დაკავშირებული ტრანსაქციებისა და ტრანსფერების დროს დაცული უნდა იქნეს მაღალსაიმედოობის უზრუნველმყოფი სტანდარტები.

<u>ბ) საბრძოლო მასალების მართვა</u>

ფეთქებადი საბრძოლო მასალების ყველაზე უფრო შესაძლო გრძელვადიანი საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოებს მოეწოდებათ, რომ მათ შენახვასთან, ტრანსპორტირებასთან, საველე შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებით გამოიყენონ საუკეთესო პრაქტიკული ნორმები და საოპერაციო პროცედურები, შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:

(i) ფეთქებადი საბრძოლო მასალები, როდესაც ეს აუცილებელია, შენახულ უნდა იქნეს უსაფრთხო შენობა-ნაგებობებში ან შესაბამის საცავებში, რათა, თუ საჭიროა, უზრუნველყოფილ იქნეს მათი და მათი შემადგენელი ნაწილების დაცულობა კონტროლირებულ ეითარებაში.

(ii) სახელმწიფომ ფეთქებადი საბრძოლო მასალების ტრანსპორტირება საწარმოო შენობა-ნაგებობიდან, შესანახი შენობა-ნაგებობიდან და საველე პირობებიდან და უკან ისე უნდა მოახდინოს, რომ მინიმუმამდე დაეიდეს მათი დაზიანების შესაძლებლობა.

(iii) ფეთქებადი საბრძოლო მასალების შენახვისა და ტრანსპორტირების დროს სახელმწიფომ, როდესაც საჭიროა, უნდა გამოიყენოს შესაბამისი საცავები და კონტროლირებული გარემო.

(iv) საცავებში აფეთქების რისკის შესამცირებლად გამოყენებულ უნდა იქნეს შენახვის შესაბამისი ზომები.

(v) სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ფეთქებადი საბრძოლო მასალების აღრიცხვის, დახარისხებისა და გამოცდის შესაბამისი პროცედურები, რომელიც უნდა შეიცავდეს ფეთქებადი საბრძოლო მასალების თითოეული ერთეულის, ლოტის ან ჯგუფის წარმოების თარიღის, აგრეთვე იმის შესახებ ინფორმაციას, თუ სად და რა პირობებში ინახება ფეთქებადი საბრძოლო მასალები და რა გარემო ფაქტორები ზემოქმედებს მათ შენახვაზე უარყოფითად.

(vi) პერიოდულად, საბრძოლო მასალების ფუნქციონირების შემოწმების მიზნით, დასაწყობებულ ფეთქებად საბრძოლო მასალებს, როცა საჭიროა, უტარდება საცეცხლე შემოწმება.

(vii) დასაწყობებული ფეთქებადი საბრძოლო მასალებისათვის აუცილებელ მოწყობილებებს, მათი ფუნქციონირების შემოწმების მიზნით, როცა საჭიროა, უტარდება ლაბორატორიული შემოწმება.

(viii) როცა საჭიროა, შენახული ფეთქებადი საბრძოლო მასალების საიმედოობის შენარჩუნების მიზნით, აღრიცხვის, დახარისხებისა და გამოცდის პროცედურებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიება, საბრძოლო მასალის შენახვის ვადის კორექტირების ჩათვლით.

<u>გ) ტრეინინგი</u>

ფეთქებადი საბრძოლო მასალების გადაცემაში, ტრანსპორტირებასა და გამოყენებაში ჩართული ყველა პერსონალის სათანადო ტრეინინგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ საბრძოლო მასალების საიმედოდ გამოყენების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ და განახორციელონ ტრეინინგის შესაბამისი პროგრამები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის სათანადო მომზადება იმ საბრძოლო მასალებთან დაკავშირებით, რომლებთან შეხებაც მათ უწევთ მათი საქმიანობიდან გამომდინარე.

<u>(დ) გადაცემა</u>

სახელმწიფო, რომელსაც ფეთქებადი საბრძოლო მასალების იმ სახელმწიფოსათვის გადაცემას გეგმავს, რომელიც მანამდე არ ფლობდა ასეთი სახის ფეთქებად საბრძოლო მასალას, უნდა დარწმუნდეს, რომ მიმღებ სახელმწიფოს გააჩნია მსგავსი ფეთქებადი საბრძოლო მასალების სწორად შენახვის, მოვლის და გამოყენების შესაძლებლობა.

<u>ე) შემდგომი წარმოება</u>

მესაძლო უმაღლესი საიმედოობის მიღწევის მიზნით, სახელმწიფომ, რომელსაც განზრახული აქვს ფეთქებადი საბრძოლო მასალების წარმოება ან შესყიდვა, უნდა გამოიკვლიოს მათი საიმედოობის გაუმჯობესების გზები და სამუალებები.